



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანდელაკი ბიძინა სიმონის ძე

კანდელაკი ბიძინა სიმონის ძე [7 (20). III. 1902, ქუთაისი, - 22. V. 1970, თბილისი], ქიმიკოსი. ქიმიის მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1930), საქართველ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). მის სახელს უკავშირდება საქართველოში პირველი მეცნ. კვლევები კოლოიდურ ქიმიაში. თსუის დამთავრების შემდეგ (1927), პ. მელიქიშვილის რეკომენდაციით, კ. გაიგზავნა გერმანიაში, სადაც ექსტერნად დაამთავრა გეტინგენის უნივერსიტეტი; გუსტავ ტამანის (გერმანია) ლაბორატორიაში შესრულებული გამოკვლევების საფუძველზე 1929 დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ფილოს. დოქტორის ხარისხი. კ-ის დისერტაციას მაღალი შეფასება მისცა კოლოიდური ქიმიის ერთერთმა ფუძემდებელმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა (1925) რიჰარდ ზიგმონდმა, რ-მაც იგი სამუშაოდ მიიწვია (1929-31) თავის ლაბორატორიაში. იქ კ. იკვლევდა ე. ნ. უკულაბვის თვისებების მქონე კოლოიდურ სისტემებს მუდმივ ტემპ-რაზზე.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1935-იდან გარდაცვალებამდე, კ. ხელმძღვანელობდა სპი-ის ფიზ. და კოლოიდური ქიმიის კათედრას. 1936-39 იყო პ. მელიქიშვილის სახ. ქიმიის ინ-ტის დირექტორი, ამასთან აგრძელებდა მუშაობას კოლოიდური ქიმიის მნიშვნელოვან საკითხებზე. მაღალი სანდობის ექსპერტ. მასალის განზოგადებამ კ-ს საშუალება მისცა სრულფასოვნად განეხილა მრავალფაზიანი სისტემები, რითაც დაადგინა კოლოიდებში მიმდინარე პროცესების მექანიზმი, განამტკიცა მოსაზრებები მათი მიკროჰეტეროგენული სტრუქტურის შესახებ. მისი მეცნ. მოღვაწეობა ასევე დაკავშირებულია ტიქსოტროპული სტრუქტურის თვისებების კვლევასთან. დაადგინა ტიქსოტროპული მოვლენის (კოლოიდური სისტემების გალაბვის იზოთერმული შექცევადი პროცესი) კავშირი კოლოიდური ნაწილაკების მუხტთან, აჩვენა ელექტრული პოტენციალის გავლენა დალაბვის პროცესზე, შექმნა ლაბების ორიგინ. კლასიფიკაცია.

კ. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იკვლევდა პრაქტ. მნიშვნელობის მთელ რიგ საკითხებს: შავი ჩაის ბიოქიმიას, ბაღბის (ჰერანის) ზეთის ხარისხის გაუმჯობესების მეთოდებს და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.
